საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-651

10/05/2021

ქ. თბილისი

„ცაგერის მუნიციპალიტეტში, შპს „ჯონოული 2“-ის მდინარე ჯონოულზე 32 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ჯონოული 2 ჰესი) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 19 თებერვლის N2-158 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 19 თებერვლის N2-158 ბრძანებით გაიცა „ცაგერის მუნიციპალიტეტში, შპს „ჯონოული 2“-ის მდინარე ჯონოულზე 32 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ჯონოული 2 ჰესი) მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტზე სკოპინგის დასკვნა N9 (29.01.2019).

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ცაგერის მუნიციპალიტეტში, შპს „ჯონოული 2“-ის მდინარე ჯონოულზე 32 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ჯონოული 2 ჰესი) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 19 თებერვლის N2-158 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ჯონოული 2“-ს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯონოული 2“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ცაგერის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი